საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/40

ქ. ბათუმი 22 თებერვალი, 2023 წ.

2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ,,ელთ ბილდინგის'' სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ–სა და შპს **,,ელთ ბილდინგს'' შორის 2021 წლის 28 მარტს დადებული მემორანდუმის, სტიპენდიის დაწესების თაობაზე** ბსუ–სა და შპს **,,ელთ ბილდინგს'' შორის გაფორმებული შეთანხმების** და ბსუ-ს სტუდენტისათვის ,,ელთ ბილდინგის სახელობის სტიპენდიის" დაწესების თაობაზე შპს ,,ელთ ბილდინგის'' დირექტორის 2023 წლის 16 თებერვლის №187420 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ,,ელთ ბილდინგის'' სტიპენდიის მოსაპოვებლად, **შემდეგი პირობებით:**

   ა) სტიპენდიის ოდენობა შეადგენს თვეში 300 ლარს (ხელზე მისაღები) და გაიცემა 1 სემესტრის განმავლობაში (გაზაფხულის სემესტრში მარტიდან ივლისის ჩათვლით, 5 თვე), რომელიც გაიცემა შპს ,,ელთ ბილდინგი"-ს მიერ, სტიპენდიის დანიშვნის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე;

   ბ) სტიპენდია შეიძლება მოიპოვოს ბსუ-ს ,,ტურიზმის", ,,კომპიუტერული მეცნიერებების" და ,,არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3-4 სასწავლო წლის **აქტიური სტატუსის მქონე წარმატებულმა** სტუდენტმა (შეირჩევა სულ 3 სტიპენდიანტი), **რომელსაც არ აქვს აკადემიური დავალიანება, წინა სემესტრში ათვისებული აქვს სულ მცირე 25 კრედიტი და ამასთან, თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული აქვს შეფასება - არანაკლებ 81 ქულა;**

   გ) თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც წარმოდგენილი ექნება სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან ბაზაში სტუდენტის რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა/ მაღალმთიან რეგიონში ცხოვრების დამადასტურებელი ცნობა;

   დ) სტუდენტი მიმდინარე სემესტრში არ იღებს (არ მიიღებს) სხვა სტიპენდიას ბსუ-ში, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა.

2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტებმა 2023 წლის 22 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით, **ბსუ-ს პორტალის საშუალებით** (წერილი კანცელარიას, რექტორის სახელზე) **უნდა წარმოადგინონ:**

   ა) სტუდენტის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (შედგენილი წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად);

ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია (წინამდებარე ბრძანების N2 **დანართში აღნიშნული ჩამონათვალის** შესაბამისად);

გ) სტუდენტის ავტობიოგრაფია - CV, შედგენილი წინამდებარე ბრძანების N3 **დანართის** შესაბამისად);

დ) სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან ბაზაში სტუდენტის რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობა/ მაღალმთიან რეგიონში ცხოვრების დამადასტურებელი ცნობა (გაცემული უფლებამოსილი სამსახურის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე 2 თვის ვადაში);

ე) სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) ცნობა სტუდენტის სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (წინა სემესტრში მიღებული ქულების მითითებით);

ზ) არანაკლებ ერთი რეკომენდაცია, ბსუ-ს იმ აკადემიური თანამდებობის პირისაგან, რომელიც კარგად იცნობს სტუდენტის აკადემიურ აქტივობას;

თ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის/პუბლიკაციის დედანი ან დამოწმებულ ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ი) სამეცნიერო ღონისძიებაში (კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ.) მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომის, სიგელის, სერტიფიკატის და სხვ. დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება (კონკურსანტი არ შეფასდება და მოიხსება კონკურსიდან) შემდეგ შემთხვევებში:

   ა) თუკი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია;

   ბ) თუკი კონკურსანტის წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით შედგენილი (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.);

   გ) სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ცნობა არ არის გაცემული საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე 2 თვის ვადაში;

   დ) კონკურსანტს შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი;

   ე) კონკურსანტი აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტია ან შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამების მოთხოვნები (მინიჭებული აქვს კვალიფიკაცია).

   ვ) სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრის მონაცემებით არ აქვს ათვისებული სულ მცირე 25 კრედიტი.

4. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგად 3 სტიპენდიანტი შეირჩეს საკონკურსო კომისიის მიერ, 2023 წლის 28 თებერვლიდან 01 მარტის ჩათვლით და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს ბსუ-ს რექტორს არაუგვიანეს 2023 წლის 2 მარტისა.

5. შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა) რექტორის მოადგილე **ანზორ ბერიძე** (თავმჯდომარე); ბ) **ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** (თავმჯდომარის მოადგილე); გ) **ტურიზმის** ფაკულტეტის დეკანი; დ) **ზუსტ მეცნიერებათა და განათლების** ფაკულტეტის დეკანი; ე) **ტექნოლოგიური** ფაკულტეტის დეკანი; ვ) **სასწავლო პროცესის დეპარტამენტის** უფროსი; ზ) იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი გიორგი დიასამიძე.

6. 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ,,ელთ ბილდინგის'' სტიპენდიის ბსუ-ს სტუდენტებისათვის დანიშვნის შესახებ რექტორის **ბრძანება გამოიცეს 2023 წლის 2 მარტს.**

7. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ბსუ-ს პორტალზე, ხოლო სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაციის მომზადება და სტუდენტთათვის გასაცნობად ბსუ-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებისათვის წარდგენა.
8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები'', ასევე შესაბამისი ფაკულტეტის ველში ,,ფაკულტეტის სიახლეები'').
9. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**

,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ,,ელთ ბილდინგის''
სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“
,,ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 თებერვლის N 01-02/40 ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს სტუდენტის განცხადება
ელთ ბილდინგის სტიპენდიის მოპოვების მიზნით კონკურსში მონაწილეობის
შესახებ

1.	სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
2.	ფაკულტეტი	
3.	სწავლების საფეხური	
4.	მიმდინარე სასწავლო წელი (კურსი)	

მსურ მონაწილეობა მივიღო გამოცხადებულ კონკურსში და გთხოვთ, მიიღოთ ჩემი განცხადება და შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:
1) პირადობის მოწმობის ასლი;
2) ცნობა სტუდენტის სტატუსის/აკადემიური მოსწრების შესახებ.;
3) სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV);
4) სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი ცნობა, გაცემულია ---------- სამსახურის მიერ, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე ----------ვადაში;
5) გამოქვეყნებული ნაშრომების/პუბლიკაციის ასლები ---- ფურცელი;
6) სარეკომენდაციო წერილი;
7) სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი, სიგელი, სერტიფიკატი და სხვ. დედანი / ნოტარიულად დამოწმებულ ასლი ----- ფურცელი; (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ/არასწორ მონაცემებს. ამასთანავე, **თანხმობას ვაცხადებ:** ა) ბსუ-მ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები გამოცხადებული კონკურსისა და კონკურსის პირობების აღსრულების მიზნით, მათ შორის გადაუგზავნოს პერსონალური მონაცემები და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია სტიპენდიის გამცემი იურიდიული პირისაგან; ბ) ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე/ნამდვილობა.

---------- განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი:

,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ,,ელთ ბილდინგის''
სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“
,,ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 თებერვლის N01-02/40 ბრძანების

დანართი N2

საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხა

	საკონკურსო დოკუმენტები	ეგზემპლართა რაოდენობა	დოკუმენტის ნოტარიული დამოწმება
1	სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV);	1	*არ არის სავალდებულო*
2	სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის და სხვ. ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სერტიფიკატ(ებ)ის და სხვ. ასლ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	1	***სავალდებულოა** (თუკი წარმოდგენილი იქნება)*
3	პირადობის მოწმობის ასლი	1	*არ არის სავალდებულო*
4	ცნობა სტუდენტის სტატუსის და აკადემიური მოსწრების შესახებ	1	*არ არის სავალდებულო*
5	გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის/პუბლიკაციების ასლები (გამოქვეყნების ადგილის მონაცემების მითითებით)	1	*არ არის სავალდებულო*
6	სარეკომენდაციო წერილი	1	*არ არის სავალდებულო*
7	სოციალური კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ცნობა, გაცემული შესაბამისი სამსახურის მიერ, საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე 2 თვის ვადაში;	1	*არ არის სავალდებულო*

შენიშვნა: მე-2 და მე-5 გრაფაში აღნიშნული დოკუმენტების დამოწმება შესაძლებელია შესაბამისი საუნივერსიტეტო სტრუქტურული ერთეულის მიერ, თუკი სამეცნიერო კონფერენცია ღონისძიება ჩატარდა ბსუ-ში, ხოლო დოკუმენტის დედნის წარმოდგენის შემთხვევაში, არ არის სავალდებულო მისი ნოტარიულად დამოწმება (სტუდენტური პორტალის საშუალებით დოკუმენტების მიღების შემთხვევაში, კონკურსანტს შესაძლებელია მოეთხოვოს შესაბამისი დოკუმენტის დედნის წარმოდგენა. კონკურსის დასრულებისა და რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, სტუდენტს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტების დედნები).

,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ,,ელთ ბილდინგის'' სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“

,,ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 თებერვლის N 01-02/40 ბრძანების

დანართი N3

კონკურსანტის ავტობიოგრაფიის (CV) ნიმუში

1.	სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
2.	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
3.	ფაკულტეტი	
4.	ბსუ-ში ჩარიცხვის წელი	
5.	სწავლების საფეხური,	
6.	სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა:	
7.	მიმდინარე სასწავლო წელი (კურსი)	
8.	ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი/ რეგისტრაციის ადგილი (მისამართი):	
9.	ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა:	

მიღებული შეფასებები სემესტრების მიხედვით:

№	სემესტრი	სასწავლო კურსი	შეფასება	შენიშვნა
1				
2				

პუბლიკაციების რაოდენობა: ——————, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ——————, ——————— (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში).

პუბლიკაციების ჩამონათვალი:

№	პუბლიკაციის დასახელება	გამომცემლობა და გამოცემის წელი	პუბლიკაციის სახე (სტატია და სხვა)	თანაავტორი/ხელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
1				
2				

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა:

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ღონისძიებაზე კონკურსანტის აქტივობა (მოხსენების სათაური და სხვა)	ღონისძიების ჩატარების ადგილი
1				
2				

დამატებითი ინფორმაცია (სურვილისამებრ): ----------

——————————————— ----------

კონკურსანტის ხელმოწერა: თარიღი: